## ჩამოწერის ოპერაციის იმპორტი ექსელიდან

ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია ოპერაციების იმპორტი ექსელიდან. სისტემას მიყვება ექსელის შაბლონი, რომლის კორექტულად შევსების შემთხვევაში მარტივად ხდება იმპორტი. ექსელის ფაილი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მარშრუტზე:ORIS Accounting 7.0\DataExport\ WriteOfGoodsImport.xlsx




არ გადააადგილოთ და არ წაშალოთ სვეტები და სტრიქონები. იმისათვის რომ იმპორტი შესრულდეს კორექტულად ველები შეავსეთ მოცემული ინსტრუქციის მიხედვით.

თარიღში მიუთითეთ (რიცხვი.თვე.წელი)აუცილებლად წერტილით გამოყოფილი.

დოკუმენტის ნომერი: მიუთითეთ თქვენთვის სასურველი დოკუმენტის ნომერი.

ღირებულების ცენტრი: მიუთითეთ ღირებულების ცენტრი(საწყობი) საიდანაც უნდა ჩამოწეროთ საგანი.

ხარჯის ანგარიში საქონლის ჩამოწერისას: მიუთითეთ ხარჯის ანგარიში

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ველები კორექტულად.საგნის დამატება დაიწყეთ მე-13-ე სტრიქონიდან .

ველში „კოდი“ მიუთითეთ საგნის კოდი. თუ მითითებული კოდით უკვე გაქვთ სისტემაში დამატებული საგანი, მაშინ სისტემა დაუკავშირებს საგნების სიაში არსებულ საგანს . საგნის იდენთიფიცირება (ძიება) ხდება კოდით.

ველში „საგნის დასახელება “ მიუთითეთ საგნის დასახელება.

ველში „ერთეული“ მიუთითეთ საგნის ერთეული.

„რაოდენობა“ მიუთითეთ რაოდენობა.




დაიმახსოვრეთ შევსებული ფაილი.

იმპორტის ოპერაციის შესასრულებლად  შედით :მენეჯერული აღრიცხვა / ჩამოწერის ოპერაციები. დააჭირეთ ღილაკზე , გადადით ბარათზე  „გამოვიყენოთ  მაკროსი“




დააჭირეთ ღილაკს „OK“




დააჭირეთ  ...  ღილაკს. მიუთითეთ მარშრუტი სადაც შეინახეთ თქვენს მიერ შევსებული  ფაილი.

ველი „დავამატოთ საქონელი თუ საგნების სიაში ვერ მოიძებნა“  მონიშვნის შემთხვევაში  დაემატება ყველა ის საქონელი საგნების სიაში რომლის კოდიც ვერ

მოიძებნება სისტემაში, მითითებული მოსანიშნის გადანიშვნის შემთხვევაში სისტემაში არ დაემატება ახალი საქონელი საგნების სიაში. დააჭირეთ ღილაკს „OK“




დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“.